



შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია

გავრცელება: საყოველთაო
24 ოქტომბერი, 2018

ორიგინალი: ინგლისურ ენაზე

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი

კომიტეტის მიერ ფაკულტატიური ოქმის მეხუთე მუხლის თანახმად მიღებული გადაწყვეტილება, No. 38/2016**, *** შეტყობინების შესახებ

- შეტყობინების წარმდგენი:* მუნირ ალ ადამი (წარმოდგენილია ადვოკატის, ადამიანის უფლებათა ევროპა-საუდის ორგანიზაციისა და ორგანიზაციის „ამერიკელები დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისთვის ბაჰრეინში“ მიერ)
- სავარაუდო დაზარალებული:* ავტორი
- სახელმწიფო მხარე:* საუდის არაბეთი
- შეტყობინების წარდგენის თარიღი:* 5 მაისი, 2016 (თავდაპირველი წარდგენა)
- გამოყენებული დოკუმენტები:* სპეციალური მომხსენებლის მიერ 70-ე წესის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც სახელმწიფოს გაეგზავნა 2014 წლის 24 ივლისს (არ გამოცემულა დოკუმენტის სახით)
- გადაწყვეტილების მიღების თარიღი:* 20 სექტემბერი, 2018
- შეტყობინების თემა:* წამება, რომელმაც შეზღუდული შესაძლებლობა გამოიწვია; უსამართლო სასამართლო პროცესის შედეგად, სასიკვდილო განაჩენის დაკისრება
- პროცედურული საკითხები:* დასაშვებობა — მოქმედი მინდობილობა; გამოძიების ან მოგვარების სხვა საერთაშორისო პროცედურები;

* ტექნიკური მიზეზების გამო, ხელახლა გამოიცა 2019 წლის 18 იანვარს.
 ** კომიტეტმა მიიღო მეოცე სესიაზე (27 აგვისტო–21 სექტემბერი, 2018).
 *** კომუნიკაციის განხილვაში მონაწილეობდნენ კომიტეტის წევრები, კერძოდ, დანლაში უმარუ ბაშარუ, მონთან ბუნტანი, იმედ ედინ ჩაკერი, თერეზია დეგენერი, ჯუნ იმიკავა, სამუელ ნიუგუნა კაბუე, ჰიუნგ შიკ კიმი, სტივ ლანგვადი, ლაზლო გაბორ ლოვასი, რობერტ ჯორჯ მარტინი, მარტინ ბაბუ მვისიგვა, კუმარაველ პაინიანი, იონას რუსკუსი და დამიან ტატიჩი. კომიტეტის რეგლამენტის მე-60 (1) (c) წესის თანახმად, აჰმად ალ საიფი არ მონაწილეობდა წინამდებარე შეტყობინების განხილვაში.



	ადგილობრივი სამართლებრივი დაცვის საშუალებების არ-ამოწურვა; საჩივრის საფუძვლიანობის ნაკლებობა
<i>არსებითი საკითხები:</i>	სასიკვდილო განაჩენი; წამება და არასათანადო მოპყრობა, რამაც არსებული შეზღუდული შესაძლებლობის გაუარესება გამოიწვია; პატიმრობაში ყოფნისას სამედიცინო მკურნალობაზე ხელმისაწვდომობის უფლება; არაკომუნიკაციური პატიმრობა; დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ტრიბუნალის მიერ სამართლიანი მოსმენის უფლება; იურიდიული წარმომადგენლობის უფლება
<i>კონვენციის მუხლები:</i>	4, 13 (1), 15 (1), 16 (1) და (4), და 25 (b)
<i>ფაკულტატური ოქმის მუხლი:</i>	2

1.1 შეტყობინების ავტორი მუნირ ალ ადამია, საუდის არაბეთის 23 წლის მოქალაქე. ბავშვობაში ტრავმის შედეგად, მუნირმა მარჯვენა ყურში სმენის მცირე დაქვეითება მიიღო. ის ამტკიცებს, რომ პატიმრობაში ყოფნისას, საუდის არაბეთის უშიშროების ძალებმა აწამეს¹, სახელმწიფო მხარის წარმომადგენლებმა უარი უთხრეს მიღებული ტრავმის მკურნალობაზე და შედეგად, მან მარჯვენა ყურში სმენა მთლიანად დაკარგა. ის აცხადებს, რომ სახელმწიფო მხარემ დაარღვია მისი უფლებები კონვენციის მე-4, მე-13 (1), მე-15 (1), მე-16 (1) და (4) და 25-ე (b) მუხლების შესაბამისად². ამჟამად, ავტორი პატიმრობაშია დაწესებულებაში „ალ დამამის გამოძიების გენერალური დირექტორატი“. საუდის არაბეთში ფაკულტატური ოქმი ძალაში 2008 წლის 24 ივნისს შევიდა. ავტორს ადვოკატი წარმოადგენს.

A. მხარეების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციისა და არგუმენტების შეჯამება

შეტყობინების ავტორის მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები

2.1 ავტორმა ბავშვობაში ტრავმა მიიღო და მარჯვენა ყურში სმენა ნაწილობრივ დაკარგა. მისი შეზღუდული შესაძლებლობა სტაბილური იყო. 2012 წლის 8 აპრილს საუდის არაბეთის უშიშროების ძალებმა ის საფვასა და ავამიას შორის საგუშაგოზე დააკავეს და ელ-ქატიფის პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს. აქ მის წინააღმდეგ გამუდმებით იყენებდნენ ფალაქას, წამების მეთოდს - დაკავებულს ფეხის გულებზე ჯოხს ურტყამდნენ. ამის შემდეგ, ის დღეების განმავლობაში ხოხავდა, რადგან სიარული არ შეეძლო. მას არ ახსოვს წამების თითოეული აქტის ზუსტი თარიღი, თუმცა ახსოვს, რომ 20 მაისს იმავე პოლიციის განყოფილებაში დეტექტივ მუჰამედ ფაჰედ ალ შნიბერის თანდასწრებით აწამეს.

2.2 ელ-ქატიფის პოლიციის განყოფილებაში ორკვირიანი პატიმრობის შემდეგ, ავტორი ალ დამამის გამოძიების გენერალურ დირექტორატში გადაიყვანეს, სადაც სამართლო საკანში მოათავსეს და აწამეს. მწამებელმა ის იატაკზე დააგდო და პირქვე მწოლიარეს ფეხსაცმლიანი ფეხი ურტყა ზურგში, სახესა და სხეულის სხვა ნაწილებში. გარდა ამისა, მწამებელმა ავტორს თითებზე ფეხი დააბიჯა და დააწვა, რის გამოც მომჩივანს ფრჩხილები მოძვრა. ამ ქმედებების შედეგად, მას სმენა

¹ ავტორი ინფორმაციას არ გვაწვდის მისი დაკავების მიზეზების შესახებ.

² ავტორი ინფორმაციას არ გვაწვდის ზოგიერთი მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ.

უფრო გაუუარესდა. ამ დღიდან მოყოლებული, ავტორი სამედიცინო სერვისებზე მისაწვდომობას გამუდმებით ითხოვდა.

2.3 დაახლოებით ოთხნახევარი თვის შემდეგ, საუდის არაბეთის ხელისუფლებამ მომჩივანი დაპრანის სამხედრო ჰოსპიტალში გადაიყვანა, ჯანმრთელობის რუტინული შემოწმებისთვის. ექიმმა თქვა, რომ ავტორს მარჯვენა ყურის სმენის 70/110 ხარისხის დაქვეითება აღენიშნებოდა და სმენის მუდმივი და სრული დაკარგვის თავიდან ასაცილებლად, სასწრაფო ოპერაციას საჭიროებდა. ციხის ადმინისტრაციამ ავტორი მკურნალობის გარეშე ექვსი თვე დატოვა. ამ თვეების განმავლობაში, მისი მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. ექვსი თვის შემდეგ, ავტორი ექიმთან კიდევ ერთხელ წაიყვანეს. ექიმმა განაცხადა, რომ ავტორის მდგომარეობა იმდენად იყო გაუარესებული, რომ მარჯვენა ყურში სმენა საერთოდ აღარ ჰქონდა. ექიმის აზრითვე, ამ ეტაპზე ოპერაცია შედეგს აღარ გამოიღებდა.

2.4 აღ დამამის გამოძიების გენერალური დირექტორატის ექიმმა სამედიცინო დასკვნა დაწერა და მონაწილე სახელმწიფოს ხელისუფლებას ავტორის სმენის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. თუმცა ხელისუფლებამ არაფერი გააკეთა. ამასთან ერთად, პატიმრობის დაწყებიდან ავტორს არ ჰქონდა წვდომა იურიდიულ კონსულტაციაზე, შესაბამისად, არ ჰქონდა ადვოკატის მხარდაჭერა, მათ შორის, სამედიცინო მომსახურებაზე წვდომის მოპოვებაში.

2.5 2016 წლის, დაახლოებით, 5 სექტემბერს, ავტორი ერ-რიადის სისხლის სამართლის სპეციალიზებულმა სასამართლომ³ ავტორს სისხლის სამართლის პასუხისგება დააკისრა. ამის შემდეგ, მას ადვოკატი დაუნიშნეს, თუმცა ადვოკატთან კომუნიკაცია მომჩივანს არ ჰქონია. პროკურორმა ავტორის სიკვდილით დასჯა მოითხოვა.

2.6 რაც შეეხება წამების, შეურაცხყოფისა და ძალადობის აქტებთან და სახელმწიფოს მხრიდან საჭირო სამედიცინო მკურნალობის არმიწოდებასთან დაკავშირებული ადგილობრივი სამართლებრივი საშუალებების ამოწურვას,

³ იხ. ლორი პლოტკინ ბოგარდტი, „ISIS-დან აქტივისტებამდე: უსაფრთხოების ახალი სასამართლო პროცესები საუდის არაბეთში“, *Research Notes*, N. 33 (ვაშინგტონი, ვაშინგტონის ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკის ინსტიტუტი, 2016 წლის მაისი), გვ. 1-3: „საუდის არაბეთის სისხლის სამართლის სპეციალიზებული სასამართლო ერ-რიადის გენერალურ სასამართლოში შეიქმნა, 2000-იან წლებში სამეფოში ალ-ჟაიდას თავდასხმებთან დაკავშირებული ასობით დაკავებულის გასასამართლებლად. ... მას შემდეგ, ეროვნული უსაფრთხოების სასამართლოში ჩატარებული სასამართლო პროცესების შესახებ ინფორმაცია კვლავ მწირია. ვაშინგტონში საუდის არაბეთის საელჩოს ცნობით, დაარსების დღიდან 2016 წლის იანვრამდე სასამართლომ განიხილა 2225 საქმე, რომელშიც 6122 ბრალდებული იყო ჩართული. ... ამ საქმეების უმეტესობისთვის ბრალდებულების, ბრალდებულისა და სასამართლო პროცესების შესახებ დეტალები საიდუმლოდ რჩება. მიუხედავად ამისა, კონკრეტული შემთხვევების შესახებ ინფორმაციის მოპოვება ბოლო წლებში უფრო გამარტივდა. ეს, ნაწილობრივ, იმის შედეგია, რომ ერ-რიადი დაინტერესებულია იმ აქტივობების წინააღმდეგ გამოყენებული ზომების გასაჯაროებით, რომელთაც ის სახელმწიფო უსაფრთხოების დანაშაულს უწოდებს. ... სისხლის სამართლის სპეციალიზებულ სასამართლოს საკუთარი კოდიფიცირებული იურისდიქცია 2014 წლის თებერვალში მიენიჭა, ტერორიზმის დანაშაულებისა და მისი დაფინანსების შესახებ სისხლის სამართლის კანონის გამოქვეყნების შედეგად. 2009 წლის ივლისისთვის სამეფომ გამოაცხადა, რომ სისხლის სამართლის სპეციალიზებულმა სასამართლომ 330 ბრალდებული გასასამართლა და რამდენიმეს გარდა, ყველა მათგანი დამნაშავედ ცნო ტერორიზმის მხარდაჭერასა და დაფინანსებაში, საგარეო კონფლიქტებში ბრძოლაში, სახელმწიფო უსაფრთხოების წინააღმდეგ შეთქმულებასა და სხვა მსგავს ბრალდებებში. ასევე, იხ. „საუდის არაბეთის ტერორის სასამართლო პროცესებმა განაჩენი მიიღეს“, BBC News, 2009 წლის 8 ივლისი; ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი, „2009 წლის ადამიანის უფლებათა პრაქტიკების შესახებ ქვეყნების ანგარიშები: საუდის არაბეთი“ (2010 წლის 11 მარტი) და „2010 წლის ადამიანის უფლებათა პრაქტიკების შესახებ ქვეყნების ანგარიშები: საუდის არაბეთი“ (2011 წლის 8 აპრილი).

ავტორი ამტკიცებს, რომ, თავდაპირველად, მისმა ოჯახმა საუდის არაბეთის ადამიანის უფლებათა კომისიაში საჩივარი არ შეიტანა⁴. ამის მიზეზი იყო ის, რომ, ოჯახის წევრების აზრით, საჩივარი უშედეგო იქნებოდა და შესაძლოა, შურისძიების საგანიც გამხდარიყო. ამასთან დაკავშირებით, ავტორი საჯარო ანგარიშებზე მიუთითებს, რომელთა მიხედვითაც, კომისია ადამიანის უფლებათა დარღვევის მსხვერპლთა ინტერესებს ადეკვატურად არ წარმოადგენს, რამდენადაც ის, „როგორც ჩანს, ანგარიშს უწევს საჩივრის სამიზნე სახელმწიფო უწყებას. წამებასა და თვითნებურ დაკავებასთან დაკავშირებული ინდივიდუალური საჩივრების შესახებ ანონიმური ინფორმაციის დეტალური შესწავლისას, კომისიის 1433 AH მოხსენებაში არაერთხელაა ხაზგასმული, რომ ამ საჩივრებს თავად სახელმწიფო უწყება იძიებს ან სახელმწიფო უწყების პასუხი დამაკმაყოფილებელია ხოლმე.“⁵

2.7 ავტორს არ შეუძლია მიმართოს საუდის არაბეთის სასამართლო სისტემას, რადგან სასამართლო სისტემა მომჩივნის მიერ გამოცდილი დარღვევების თანამონაწილეა. საჯარო ანგარიშების თანახმად, „არახელსაყრელი პირობების გარდა, რაც გადატვირთულობითაა გამოწვეული, სასჯელადსრულების დაწესებულებაში წამების პირდაპირ აქტებთან დაკავშირებული ბრალდებებიც გაჩნდა“. ანგარიშში ნათქვამია ისიც, რომ „სასჯელადსრულების დაწესებულებაში პერსონალის ნაკლებობა და არსებული თანამშრომლები არაკვალიფიცირებულები არიან; საჭიროების შემთხვევაში, გადაუდებელი სამედიცინო მკურნალობა ხელმისაწვდომი არაა; ციხეში პატიმრებს სასჯელის ვადის გასვლის შემდეგაც ტოვებენ; პატიმრებს ინფორმაცია არ მიეწოდებათ მათი კანონიერი უფლებების შესახებ“. ესენია „პირობები, რომლებიც ხელს უწყობს ისეთი გარემოს შექმნას, სადაც ხელისუფლების წარმომადგენლებს დაუსჯელად შეუძლიათ დაარღვიონ წამების წინააღმდეგ კონვენციის დებულებები.“⁶

2.8 ავტორი ამტკიცებს, რომ მის ოჯახს არ აქვს წვდომა სამედიცინო ცნობაზე, რომელიც მისი წამების ფაქტს დაადასტურებდა. საუდის არაბეთის ხელისუფლება თავად არის მისი შეურაცხყოფის თანამონაწილე, ხოლო სახელმწიფო უწყებები - საკუთარი უფლებამოსილების შესრულებისას შეურაცხყოფის განმარტოვებლები. ის ამბობს, რომ სახელმწიფო მხარემ ოჯახს სამედიცინო დოკუმენტები სწორედ ამიტომ არ მიაწოდა. დოკუმენტები ბრალის წაყენების საფუძველი იქნებოდა. ეს სახელმწიფო ორგანოების მიერ ჩადენილი წამებისთვის ხელის დაფარებისა და ასეთი ქმედებების დაუსჯელობის გაბატონებული პრაქტიკებია.

⁴ მონაწილე მხარის დაკვირვებებზე საკუთარ კომენტარში ავტორმა მიუთითა, რომ მისმა ოჯახმა საჩივარი შეიტანა საუდის არაბეთის ადამიანის უფლებათა კომისიაში, თუმცა უშედეგოდ (იხ. პუნქტები 5.4 და 8.6).

⁵ ავტორი მიუთითებს ორგანიზაციაზე „ამერიკელები დემოკრატიისა და ადამიანების უფლებებისთვის ბაჰრეინში“, „საუდის არაბეთის სახელმწიფოს „მონიშვნა“, თავი 9: ადგილობრივი ადამიანის უფლებათა ინსტიტუციები“ (ვაშინგტონი, 2015), გვ. 6.

⁶ ავტორი მიუთითებს ანგარიშზე, რომლის მიხედვითაც, საუდის არაბეთის სასამართლო სისტემა ეყრდნობა და წახალისებს წამების გამოყენებას, იხ. ორგანიზაციების „ამერიკელები დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისთვის ბაჰრეინში“ და „ბაჰრეინის ინსტიტუტი უფლებებისა და დემოკრატიისთვის“ ნაშრომი, „სისასტიკის საფუძველი: საუდის არაბეთის მიერ წამების წინააღმდეგ კომიტეტის რეკომენდაციების იმპლემენტაციის ანგარიში“ (ვაშინგტონი, 2015 წლის აგვისტო), გვ. 13-14. ავტორი მიუთითებს მსგავს საქმეებთან დაკავშირებულ ორ მოსაზრებაზე (მოსაზრებები No. 12/2015 და No. 32/2014), რომელთა ავტორია თვითნებური დაკავების სამუშაო ჯგუფი. აქ საუბარია საუდის არაბეთის სისხლის სამართლის სისტემის სავარაუდო თანამონაწილეობაზე ადამიანის უფლებების დარღვევაში (წამების ჩათვლით).

საჩივარი

3.1 ავტორი ამბობს, რომ დაკავების პროცესში მას უკვე ჰქონდა მარჯვენა ყურში სმენის ნაწილობრივი დაქვეითება. ამიტომ, ავტორი მიიჩნევს, რომ მისი საქმე კომიტეტის კომპეტენციაშია.

3.2 ავტორი ამტკიცებს, რომ დაკავებისა და პატიმრობის დროს განცდილმა წამების აქტებმა მისი შეზღუდული შესაძლებლობა გააუარესა. ამასთან დაკავშირებით, მომჩივანი ამბობს, რომ სახელმწიფო მოხელეებმა წამების დროს ყურებში განმეორებითი დარტყმებით კიდევ უფრო დააზიანეს მისი ისედაც დაქვეითებული სმენა და კონვენციის მე-15 მუხლი დაარღვიეს. ავტორის თქმით, სასჯელაღსრულების დაწესებულების ხელმძღვანელებისა და უშიშროების თანამშრომლების საქციელი შეურაცხყოფასა და ძალადობას უტოლდება, რაც კონვენციის მე-16 მუხლის დარღვევაა.

3.3 ავტორი ამტკიცებს, რომ სახელმწიფო მხარემ დაარღვია მისი უფლებები, რომლებიც კონვენციის 25-ე მუხლის (b) ქვეპუნქტშია გაწერილი. კერძოდ, სახელმწიფომ დაარღვია მისი უფლება, მიეღო აუცილებელი სამედიცინო დახმარება, სმენის მუდმივი და სრული დაკარგვის თავიდან ასაცილებლად. ამასთან დაკავშირებით, ავტორი აღნიშნავს, რომ სახელმწიფო მხარემ მას უარი უთხრა აუცილებელ გადაუდებელ ოპერაციაზე, მიუხედავად იმისა, რომ თავად იყო მისი პერმანენტული შეზღუდული შესაძლებლობის მიზეზი და სახელმწიფომ თავადაც კარგად იცოდა, რომ ოპერაციაზე უარის თქმა მომჩივნის სმენის მუდმივ და სრულ დაკარგვას გამოიწვევდა.

3.4 ავტორი ამტკიცებს, რომ 2012 წლიდან 2016 წლის ბოლომდე ადვოკატთან წვდომის აკრძალვით, სახელმწიფო მხარე მომჩივნის მართლმსაჯულების უფლებაში, მათ შორის, ადვოკატთან კონსულტაციის უფლებაში ჩაერია. ის აცხადებს, რომ როდესაც მისი სასამართლო პროცესი დაიწყო, საბოლოოდ მიეცა ადვოკატთან წვდომა, თუმცა მასთან შეხვედრის ყველა მოთხოვნა უარყოფილი იყო. ავტორის თქმით, არაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ მას, სმენის დაქვეითების მიუხედავად, სამართალწარმოებაში ეფექტური მონაწილეობა მიეღო. მისი აზრით, საბოლოო ჯამში, მის წინააღმდეგ დაირღვა კონვენციის მე-13 (1) მუხლიც, როგორც ცალკე, აგრეთვე, მე-4 მუხლთან მიმართებით⁷.

სახელმწიფო მხარის დაკვირვებები შეტყობინების დასაშვებობასთან დაკავშირებით

4.1 2016 წლის 7 დეკემბერს სახელმწიფო მხარემ, შეტყობინების დასაშვებობასთან დაკავშირებით, შენიშვნები წარმოადგინა და მისი საქმის არსებითი მხარის განხილვისგან განცალკევება მოითხოვა. სახელმწიფო მხარე აღიარებს, რომ ავტორი ამჟამად დაკავებული რჩება ალ დამამის გამოძიების გენერალური დირექტორატში.

4.2 სახელმწიფო მხარე ამტკიცებს, რომ შეტყობინება დაუშვებელი უნდა იყოს სამი მიზეზის გამო. პირველ რიგში, საჩივარს ხელი არ აქვს მოწერილი დაზარალებულის ან დაზარალებულის ოჯახის წევრის მიერ და შესაბამისად, ის არ შეესაბამება ფაკულტატური ოქმის მე-2 (b) მუხლის მოთხოვნებს. ამასთან დაკავშირებით, სახელმწიფოს თქმით, „არაფერი უშლის ხელს მომჩივანს, თავად წარადგინოს შეტყობინება ან წარმომადგენლობისთვის ხელმოწერილი უფლებამოსილება შეტყობინების ავტორს მიაწოდოს“⁸.

⁷ თავდაპირველ საჩივარში საუბარი იყო მე-12 (3) მუხლის დარღვევაზე, თუმცა ეს ბრალდება მოგვიანებით მოიხსნა.

⁸ არაბულ ენაზე წარმოდგენილი სახელმწიფო მხარის დაკვირვებების არაფორმალური თარგმანი.

4.3 სახელმწიფო მხარე მიუთითებს, რომ იგივე საკითხი განიხილება შემდეგ ინსტანციებში: სპეციალური მომხსენებლის წინაშე არასასამართლო, შემაჯამებელი ან თვითნებური სიკვდილით დასჯების შესახებ; სპეციალური მომხსენებლის წინაშე ყველა ადამიანის უფლების შესახებ, ისარგებლონ ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის უმაღლესი სტანდარტებით; სპეციალური მომხსენებლის წინაშე მოსამართლეთა და ადვოკატების დამოუკიდებლობის შესახებ; და სპეციალური მომხსენებლის წინაშე წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის შესახებ. სახელმწიფო მიიჩნევს, რომ კომიტეტს არ შეუძლია პარალელური გამოძიების წარმართვა.

4.4 სახელმწიფო მხარე, საბოლოოდ, ამტკიცებს, რომ ავტორს არ ამოუწურავს ადგილობრივი სამართლებრივი დაცვის ყველა საშუალება, მაშინ, როდესაც „ავტორისთვის ხელმისაწვდომია სარჩელის დაკმაყოფილების ეფექტური საშუალებები“. მეტიც, მისი თქმით, საჩივარი არ არის გამყარებული მტკიცებულებებით.

ავტორის კომენტარები სახელმწიფო მხარის დაკვირვებების შესახებ, შეტყობინების დასაშვებობასთან დაკავშირებით

5.1 2017 წლის 7 მარტს ავტორმა კომენტარები გააკეთა სახელმწიფო მხარის დაკვირვებების შესახებ, შეტყობინების დასაშვებობასთან დაკავშირებით. ის ამტკიცებს, რომ სახელმწიფო მხარის არგუმენტები, მისი საჩივრის დაუშვებლობასთან დაკავშირებით, ვალიდური არ არის.

5.2 რაც შეეხება სახელმწიფოს მხარის არგუმენტს, რომ ავტორის საჩივარი დაუშვებელად უნდა ჩაითვალოს, რადგან მასზე ავტორს ან მის ოჯახს ხელი არ მოუწერია, ავტორი ამტკიცებს, რომ ეს არგუმენტი საკამათოა, რადგან საჩივრის პირველად ვერსიას თან ახლდა არაბულ ენაზე ხელნაწერი მინდობილობა, რომელსაც ხელს აწერდა „დაკავებული მუნირ ალ ადამის ოჯახი“⁹. ავტორი კიდევ ერთხელ ამბობს, რომ იგი დაკავებულია ადვოკატთან შეხვედრისა და მასთან კომუნიკაციის შესაძლებლობის გარეშე და ასეთ ვითარებაში, ვერ შეძლო საბუთის ხელმოწერა ან საკუთარი შეტყობინების თავად წარდგენა.

5.3 რაც შეეხება სახელმწიფო მხარის არგუმენტს, რომ ავტორის საქმე ამჟამად რამდენიმე სპეციალური მომხსენებლის წინაშე განიხილება, ავტორი ამბობს, რომ, ფაკულტატიური პროტოკოლის მე-2 მუხლის (c) პუნქტის მიხედვით, შეტყობინება ნამდვილად დაუშვებელია, როცა ის გამოძიების ან მოგვარების სხვა საერთაშორისო პროცედურების პარალელურად განიხილება. თუმცა, მიუხედავად ამისა, ადამიანის უფლებათა საბჭოს მიერ დადგენილი ექსტრაკონვენციური პროცედურებისა და მექანიზმების მიხედვით, საქმით პარალელური განხილვა არ უნდა ჩაითვალოს საერთაშორისო გამოძიებად ან მოგვარებად იმ გაგებით, რა აზრითაც ეს გაწერილია ფაკულტატურ ოქმში. ამასთან დაკავშირებით, ის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტისა და წამების საწინააღმდეგო კომიტეტის იურისპუდენციაზე მიუთითებს, რომელთა მიხედვითაც, ის ფაქტი, რომ საქმე განიხილება სპეციალური მომხსენებლების წინაშე, არ უნდა უშლიდეს ხელს კომიტეტის მიერ საქმის განხილვას¹⁰. ავტორი

⁹ კომიტეტის სამდივნოს მიხედვით, თავდაპირველ საჩივარს მართლაც ახლდა თან ხელნაწერი მინდობილობა, რომელსაც ხელს აწერდნენ ავტორის ოჯახის წევრები.

¹⁰ იხ. ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ლაურენო ატაჩაჰუა პერუს წინააღმდეგ (CCPR/C/56/D/540/1993), პუნქტი 7.1: „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ შექმნილი ექსტრაკონვენციური პროცედურები ან მექანიზმები ... (რომლის [გაეროს] მანდატიც არის ის, რომ შეისწავლოს და საჯარო ანგარიში წარმოადგინოს ... ადამიანის უფლებათა დარღვევების [მსოფლიოში] ძირითადი ფენომენების შესახებ) ... არ არის საერთაშორისო გამოძიების ან მოგვარის პროცედურა“; წამების საწინააღმდეგო კომიტეტი, ბენდიბი ალჟირის წინააღმდეგ (CAT/C/51/D/376/2009), პუნქტი 5.1.

ამტკიცებს, რომ იგივე იურისპუდენცია მიეყენება კომიტეტსაც, რამდენადაც ფაკულტატური ოქმის მე-2 (c) მუხლის ფორმულირება წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ კონვენციის შესაბამისი დებულებების და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის ფაკულტატური ოქმის მსგავსია.

5.4 რაც შეეხება ადგილობრივი სამართლებრივი დაცვის საშუალებების ამოწურვის აუცილებლობას, ავტორი ამტკიცებს, რომ ფაკულტატური ოქმის მე-2 (d) მუხლის თანახმად, ეს წესი უქმდება, როდესაც სავარაუდოა, რომ ადგილობრივი მართლმსაჯულების სისტემისთვის მიმართვა ეფექტურ შედეგს არ გამოიღებს. ამასთან დაკავშირებით, ავტორი მიიჩნევს, რომ სახელმწიფო მხარის მტკიცება, რომ „ავტორისთვის ხელმისაწვდომია სარჩელის დაკმაყოფილების ეფექტური საშუალებები“ ეწინააღმდეგება მისი ოჯახის წევრების ჩვენებებს, რომელთა მიხედვითაც ავტორი 24 საათის განმავლობაში სამართლო საკანშია, სადაც მას შეურაცხყოფენ და არაადამიანურად ეპყრობიან (დასაშვებია მაქსიმუმ 7 საათიანი ძილი, აიძულებენ მთელი დღის განმავლობაში ჯდომას და დგომას). ამასთან ერთად, მას მისჯილი აქვს სიკვდილით დასჯა. ავტორი ამტკიცებს, რომ სასჯელადსრულების სისტემაში დასაქმებული სამედიცინო მუშაკი მასზე ზეწოლას ახდენდა და აიძულებდა, უკან წაეღო განცხადება, რომ სმენა წამების გამო დაკარგა. ავტორის ოჯახი ამბობს, რომ მათ საქმე შეიტანეს შინაგან საქმეთა სამისტროში, სასამართლოსა და საუდის არაბეთის ადამიანის უფლებათა კომისიაში, მაგრამ არცერთ მათგანს შესაბამისი ზომები არ მიუღია.

5.5 ავტორი კიდევ ერთხელ მიუთითებს საჯარო ანგარიშებზე, რომელთა მიხედვითაც, სახელმწიფო სასამართლო სისტემა ადამიანის უფლებების დარღვევის თანამონაწილეა ხოლმე. კერძოდ, ავტორი მიიჩნევს, რომ აღნიშნული ანგარიშები კარგად ასახავს „საუდის არაბეთის მართლმსაჯულების თვითნებურ ბუნებას“ და „საუდის არაბეთის ტერორისტული სასამართლოს, კერძოდ, სისხლის სამართლის სპეციალიზებული სასამართლოს მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების“ მაგალითებს¹¹. ამგვარ ვითარებაში, არ არსებობს საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ ადგილობრივი სამართლებრივი დაცვის საშუალებები ავტორისთვის ხელმისაწვდომია. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, ამ საქმეს მიეყენოს ფაკულტატური ოქმის მე-2 (d) მუხლში აღნიშნული გამონაკლისი. შესაბამისად, ავტორის მტკიცებით, შეტყობინება დასაშვები უნდა იყოს.

ავტორის მიერ წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაცია და კომიტეტის მიერ მოთხოვნილი დროებითი ზომები

6.1 2017 წლის 25 მაისს ავტორმა კომიტეტს აცნობა, რომ ერ-რიადის სისხლის სამართლის სპეციალიზებულმა სასამართლომ მას სიკვდილის დასჯა მიუსაჯა და ეს გადაწყვეტილება ეყრდნობოდა აღიარებით ჩვენებას, რომელიც მომჩივანმა წამების შედეგად მისცა.

6.2 2017 წლის 26 მაისს, კომიტეტის საპროცესო რეგლამენტის 64-ე წესის შესაბამისად და არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით, კომიტეტმა სახელმწიფო მხარეს მოთხოვა, სასიკვდილო განაჩენი სისრულეში არ მოეყვანა, სანამ ავტორის საქმეს კომიტეტი განიხილავდა.

¹¹ იხ. კრისტოფ ვილკე, „საუდის არაბეთს სჭირდება უფრო გამჭვირვალე მართლმსაჯულების სისტემა“, *Guardian*, 2011 წლის 26 ოქტომბერი და Human Rights Watch, „საუდის არაბეთი: გააუქმეთ ტერორიზმის სასამართლო“, ონლაინ განცხადება, 2012 წლის 27 აპრილი.

სახელმწიფო მხარის დამატებითი დაკვირვებები შეტყობინების დასაშვებობასთან დაკავშირებით

7.1 2017 წლის 4 მაისს სახელმწიფო მხარეს მოთხოვეს, შეტყობინების არსებითი მხარის შესახებ საკუთარი დაკვირვებები წარედგინა. 2017 წლის 19 ივნისს სახელმწიფო მხარემ წარადგინა დაკვირვებები, სადაც გაიმეორა, რომ, ფაკულტატური ოქმის მე-2 მუხლის (b), (d) და (e) ქვეპუნქტებზე დაყრდნობით, შეტყობინება დაუშვებელი უნდა ყოფილიყო. მეტიც, მან კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ ავტორს ადგილობრივი სამართლებრივი დაცვის საშუალებები არ ამოუწურავს.

7.2 ამასთან დაკავშირებით, სახელმწიფო მხარემ ადგილობრივი სამართლებრივი დაცვის იმ ორგანოების ჩამონათვალი წარადგინა, რომლებისთვისაც მიმართვა ავტორს შეეძლო. ასეთი ორგანოებია შინაგან საქმეთა სამინისტრო (დანაშაულის კონტროლის ორგანოები), სახელმწიფო პროკურატურის ოფისი, იმ სასჯელადსრულების დაწესებულების დირექტორი, სადაც მომჩივანია განთავსებული, კომპეტენტური სასამართლო, ადამიანის უფლებათა ეროვნული საზოგადოება და საუდის არაბეთის ადამიანის უფლებათა კომისია.

7.3 სახელმწიფო მხარე აცხადებს იმასაც, რომ ბრალდებულს ადვოკატი დაენიშნა „სახელმწიფოს ხარჯზე, მისი სიღარიბის გამო.“

7.4 2017 წლის 21 ივნისს, 2017 წლის 25 ოქტომბერს და 2018 წლის 17 იანვარს სახელმწიფო მხარეს კიდევ მოსთხოვეს შეტყობინების არსებითი მხარის შესახებ საკუთარი დაკვირვებების წარდგენა. კომიტეტის თქმით, მან ეს ინფორმაცია ვერ მიიღო. საქმის არსებითი მხარის შესახებ სახელმწიფოს დაკვირვებების არარსებობის ფონზე, კომიტეტმა სათანადო წონა უნდა მიანიჭოს ავტორის ბრალდებებს, რომლებიც მან ადეკვატურად დაასაბუთა.¹²

ავტორის კომენტარები სახელმწიფო მხარის დამატებით დაკვირვებებზე

8.1 2018 წლის 26 ივლისს ავტორმა კომენტარები გააკეთა სახელმწიფო მხარის დამატებით დაკვირვებებზე საქმის დასაშვებობის შესახებ. ის, ერთი მხრივ, საქმის დასაშვებობასთან დაკავშირებით მის მიერ გაკეთებულ წინა კომენტარებზე მიუთითებს, ხოლო, მეორე მხრივ, ამტკიცებს, რომ სახელმწიფო მხარის დაკვირვებები არ ადასტურებს, რომ ავტორისთვის ხელმისაწვდომია ადგილობრივი სამართლებრივი დაცვის ალტერნატიული სანდო საშუალებები.

8.2 ამასთან დაკავშირებით, ავტორი ამტკიცებს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაშაულის კონტროლის ორგანოები ან ე.წ. გამომძიების გენერალური დირექტორატი სამართლებრივი დაცვის მიუკერძოებელ და დამოუკიდებელ საშუალებებს ვერ უზრუნველყოფენ, რადგან ეს ორგანოები შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაშია. ის ამბობს, რომ მისმა ოჯახმა საქმე შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებელთანაც მიიტანა, თუმცა უშედეგოდ.

8.3 რაც შეეხება სახელმწიფო პროკურატურის ოფისს, ავტორი კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ ამ უწყებამ მის წინააღმდეგ სიკვდილით დასჯის გამოყენება წამების შედეგად მოპოვებული აღიარებითი ჩვენების საფუძველზე მოითხოვა. ეს მოხდა სასამართლო პროცესის დროს, რომელზეც მას ადვოკატთან წვდომა

¹² იხ. (inter alia) ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ელ ჰასი ლიბის არაბული სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ (CCPR/C/91/D/1422/2005), პუნქტი 4 და ელ ალვანი ლიბის არაბული სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ (CCPR/C/90/D/1295/2004), პუნქტი 4; იძულებით გაუჩინარების კომიტეტი, დეოლინდა ირუსტა და ვალე ირუსტა არგენტინის წინააღმდეგ (CED/C/10/D/1/2013), პუნქტი 10.1; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი, X ტანზანიის გაერთიანებული რესპუბლიკის წინააღმდეგ (CRPD/C/18/D/22/2014), პუნქტი 6.

შეუზღუდეს. ეს ერთ-ერთი სახელმწიფო ორგანოა, რომლის წინააღმდეგაც ავტორმა ძალაუფლების ბოროტად გამოყენების მუხლით წარადგინა საჩივარი. ამიტომ, ავტორი მიიჩნევს, რომ ეს უწყება არ შეიძლება ადგილობრივი სამართლებრივი დაცვის დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ ან რელევანტურ საშუალებად ჩაითვალოს.

8.4 რაც შეეხება სასჯელადსრულების სისტემას, ავტორი ამბობს, რომ ის ამჟამადაც ალ დამამის გამოძიების გენერალური დირექტორატის კომპლექსში იმყოფება, იმავე დაწესებულებაში, რომელიც მის წამებაზე პასუხისმგებელი. ამ კონტექსტში, საჩივრის ამ დაწესებულების დირექტორთან შეტანის შემთხვევაშიც კი, საქმე სახელმწიფო პროკურატურაში წავიდოდა. ამიტომ, ესეც ვერ ჩაითვლება ადგილობრივი სამართლებრივი დაცვის ხელმისაწვდომ საშუალებად.

8.5 რაც შეეხება „კომპეტენტურ სასამართლოს“, ავტორი ვარაუდობს, რომ აქ სისხლის სამართლის სპეციალიზებული სასამართლო იგულისხმება, რომელიც ისედაც უძღვებოდა მის საქმეს და ადვოკატთან კომუნიკაციის საშუალებას არ აძლევდა, შესაბამისად, მის უფლებებს არღვევდა. ავტორი აცხადებს, რომ ეს სასამართლო, მის საქმესთან დაკავშირებით, მიუკერძოებელი არ იყო და ზოგადად, სერიოზულად არღვევს ხოლმე სასამართლო პროცესის პრინციპებს.

8.6 რაც შეეხება საუდის არაბეთის ადამიანის უფლებათა კომისიას და ადამიანის უფლებათა ეროვნულ საზოგადოებას, ავტორი იმეორებს, რომ მისმა ოჯახმა უკვე მიმართა ადამიანის უფლებათა კომისიას, თუმცა უშედეგოდ. ის აცხადებს, რომ არცერთი მათგანი ინსტიტუციურად დამოუკიდებელი არაა და მათ არ აქვთ სახელმწიფო უსაფრთხოების ორგანოებთან დაპირისპირების ძალაუფლება. ამ ინსტიტუციების შესახებ საჯარო ანგარიშებზე,¹³ მათ შემცირებულ მანდატსა და უფლებამოსილებაზე მითითებით, ავტორი ხაზს უსვამს იმას, რომ ადამიანის უფლებათა ეროვნულ საზოგადოებაში სარჩელის შეტანის რელევანტურობის დაშვება არაგონივრული იქნებოდა.

8.7 სახელმწიფო მხარის არგუმენტს რაც შეეხება, რომ თითქოს ავტორისთვის ადვოკატი ხელმისაწვდომი და მეტიც, უფასო იყო, ავტორი ამტკიცებს, რომ სასამართლო დარბაზში ადვოკატის ფორმალური ყოფნა არარელევანტურია შეტყობინებაში წამოჭრილ ძირითად საკითხებთან, კერძოდ: იმასთან, რომ მისთვის ადვოკატთან კომუნიკაცია არ იყო ხელმისაწვდომი; იმასთან, რომ ის აწამეს; იმასთან, რომ მისგან აღიარებითი ჩვენება წამების შედეგად მიიღეს და ეს ჩვენება მის გასამტყუნებლად გამოიყენეს; იმასთან, რომ მართლმსაჯულებაზე უარი ეთქვა; იმასთან, რომ სასამართლო პროცესის განმავლობაში, საუდის არაბეთის ხელისუფლებამ არ უზრუნველყო აუცილებელი პროცედურული მისადაგების ღონისძიებები, ჯანმრთელობის მხარდაჭერა და რეაბილიტაციის სერვისების მიწოდება, კონვენციის შესაბამისად.

8.8 ავტორმა გამოთქვა შიში, რომ სახელმწიფო მხარე, სავარაუდოდ, მას სიკვდილით უახლოეს მომავალში დასჯიდა, მიუხედავად კომიტეტის მიერ მოთხოვნილი დროებითი ზომებისა (რომ სახელმწიფოს არ შეესრულებინა სასიკვდილო განაჩენი, სანამ საქმეს კომიტეტი განიხილავდა). 2017 წლის 25 მაისს სისხლის სამართლის სპეციალიზებულმა სასამართლომ სააპელაციო წესით სიკვდილით დასჯა ძალაში დატოვა. 2017 წლის 12 ივნისს სახელმწიფო მხარემ ავტორი სამართლო საკანში გადაიყვანა, სადაც კიდევ უფრო შეუზღუდა ინფორმაცია მისი საქმის მდგომარეობის შესახებ. ამ თარიღის შემდეგ, ავტორის ოჯახი მას ვეღარ დაუკავშირდა. ავტორი მიუთითებს, რომ სახელმწიფო მხარემ ქვეყანაში სიკვდილით დასჯის განაჩენების რაოდენობა გაზარდა: 2017 წლის 10 ივლისს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს ექვს პატიმარს, ხოლო მომდევნო

¹³ იხ. (inter alia) იბრაჰიმ ალ-მუგაიტეები და კრისტოფ ვილკე, “საუდის სამართალი”, Human Rights Watch, ონლაინ კომენტარი, 2006 წლის 16 აპრილი. ხელმისაწვდომია ბმულზე: www.hrw.org/news/2006/04/16/saudi-justice.

დღეს ოთხი პატიმარი დასაჯეს სიკვდილით. 2017 წლის 23 ივლისს უმაღლესმა სასამართლომ ავტორის სასიკვდილო განაჩენი დაადასტურა. ეს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

დროებითი ზომები და ავტორის დამატებითი დაკვირვებები

9.1 2017 წლის 10 აგვისტოს კომიტეტმა კიდევ ერთხელ მოითხოვა დროებითი ზომები და სახელმწიფო მხარეს შეახსენა, რომ დროებითი დაცვის შესახებ მისი მოთხოვნა ძალაში რჩებოდა კომიტეტის მიერ საჩივრის განხილვამდე.

9.2 2017 წლის 10 სექტემბერს ავტორმა კომიტეტს აცნობა, რომ 2017 წლის 14 ივლისს ის ალ დამამის გამოძიების გენერალური დირექტორიატის დაწესებულებიდან ერ-რიადის დაკავების ცენტრში გადაიყვანეს, სიკვდილით დასჯილ 13 პირთან ერთად. 2017 წლის 13 აგვისტოს ავტორი ალ დამამში დააბრუნეს. ტრანსფერების მიზეზები უცნობია. ავტორი ამჟამადც სამართლო საკანში იმყოფება, ხოლო დანარჩენი სიკვდილმისჯილი პატიმრები საერთო საპატიმროში არიან. 2017 წლის 4 ივნისის შემდეგ მას ოჯახის ნახვის უფლება აღარ მიეცა. ერ-რიადში გადაყვანის შემდეგ, მას მხოლოდ ერთხელ მიეცა ოჯახთან დარეკვის საშუალება. ავტორი მიიჩნევს, რომ მას ახლა სხვებზე უარესად ექცევიან, რისი მიზეზიც გაეროს სახელშეკრულებო ორგანოს წინაშე საქმის წარდგენის გამო შურისძიებაა.

9.3 2017 წლის 20 ოქტომბერს ავტორმა კომიტეტს აცნობა, რომ 2017 წლის 18 ოქტომბერს სამართლო პატიმრობიდან გაათავისუფლეს, ხოლო მეორე დღეს, 19 ოქტომბერს ის ოჯახს პირველად შეხვდა 2017 წლის 4 ივნისის შემდეგ. ის კმაყოფილი იყო ამ მოვლენებით.

B. კომიტეტის მოსაზრებები საქმის დასაშვებობის შესახებ

10.1 შეტყობინებაში მოცემული ნებისმიერი მტკიცებულების განხილვამდე, კომიტეტმა, ფაკულტატური ოქმის მე-2 მუხლისა და მისი პროცედურული რეგლამენტის 65-ე წესის შესაბამისად, უნდა გადწყვიტოს, დასაშვებია თუ არა საქმე ფაკულტატური ოქმის მიხედვით.

10.2 კომიტეტმა დაადგინა, რომ, ფაკულტატური ოქმის მე-2 (c) მუხლის შესაბამისად, ეს საქმე არ განიხილება/განიხილებოდა კომიტეტის მიერ ან გამოძიების ან მოგვარების სხვა საერთაშორისო პროცედურების ფარგლებში. ამასთან დაკავშირებით, კომიტეტი შეგვახსენებს სახელმწიფო მხარის არგუმენტს, რომ ავტორის შეტყობინება დაუშვებელი უნდა იყოს, რადგან ამ საკითხს განიხილავენ შემდეგი ინსტანციები: სპეციალური მომხსენებელი არასასამართლო, შემაჯამებელი ან თვითნებური სიკვდილით დასჯების შესახებ; სპეციალური მომხსენებელი ყველა ადამიანის უფლების შესახებ, ისარგებლონ ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის უმაღლესი სტანდარტებით; სპეციალური მომხსენებელი მოსამართლეთა და ადვოკატების დამოუკიდებლობის შესახებ; და სპეციალური მომხსენებელი წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის შესახებ. კომიტეტი აცხადებს, რომ ადამიანის უფლებათა კომისიის ან ადამიანის უფლებათა საბჭოს მიერ დამკვიდრებული ექსტრაკონვენციური პროცედურები ან მექანიზმები, ზოგადად, ფაკულტატური ოქმის მე-2 (c) მუხლის მნიშვნელობით, გამოძიების ან მოგვარების საერთაშორისო პროცედურას არ წარმოადგენს.¹⁴ მით უფრო, რომ ადამიანის უფლებათა კომისიისა და ადამიანის უფლებათა საბჭოს მანდატები კონკრეტულ ქვეყნებში ან ტერიტორიებზე

¹⁴ იხ. ადამიანის უფლებების კომიტეტი, ჯებარი და ჩიპოუბი ალჟირის წინააღმდეგ (CCPR/C/103/D/1811/2008), პუნქტი 7.2 და კრასოვსკაია და კრასოვსკაია ბელარუსიის წინააღმდეგ (CCPR/C/104/D/1820/2008), პუნქტი 7.2.

ადამიანის უფლებების კუთხით მდგომარეობის ან მსოფლიოში ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევების განხილვა და საჯაროდ წარმოდგენა. ამიტომ, კომიტეტი მიიჩნევს, რომ ავტორის საქმის განხილვა სპეციალური მომხსენებლების მიერ წინამდებარე შეტყობინებას დაუშვებლად არ აქცევს, ფაკულტატური ოქმის მე-2 მუხლის (c) შესაბამისად.

10.3 კომიტეტი მიუთითებს სახელმწიფო მხარის განცხადებაზე, რომ წინამდებარე შეტყობინება დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს ფაკულტატური ოქმის მე-2 მუხლის b ქვეპუნქტის შესაბამისადაც, რადგან მას დაზარალებულმა ან დაზარალებულის ოჯახის წევრმა ხელი არ მოაწერა. კომიტეტი მიუთითებს ავტორის შენიშვნაზე, რომ თავდაპირველი საჩივარი ხელნაწერი მინდობილობით იყო წარდგენილი და ამ დოკუმენტს ხელს დაზარალებულის ოჯახი აწერდა. ავტორის თქმით, მისი კომუნიკაცია შეზღუდულია, რამაც ხელი შეუშალა მინდობილობის ხელმოწერას ან დაზარალებულის მიერ საჩივრის შეტანას. ასეთ ვითარებაში და იმის გათვალისწინებით, რომ დასაშვებია შეტყობინების წარდგენა ინდივიდებისა და ჯგუფების მიერ ან მათი სახელით¹⁵, კომიტეტი ასკვნის, რომ შეტყობინება მას წესების შესაბამისად წარედგინა.

10.4 კომიტეტი მიუთითებს სახელმწიფო მხარის არგუმენტზე, რომ ავტორს ადგილობრივი სამართლებრივი დაცვის საშუალებები არ ამოუწურავს. კომიტეტი მიუთითებს სახელმწიფო მხარის მეორე არგუმენტზეც, რომ ავტორს საქმე უნდა შეეტანა შინაგან საქმეთა სამინისტროში (დანაშაულის კონტროლის ორგანოებში), სახელმწიფო პროკურატურის ოფისში, იმ სასჯელადსრულების დაწესებულების დირექტორთან, სადაც მომჩივანია განთავსებული, „კომპეტენტურ სასამართლოში“, ადამიანის უფლებათა ეროვნულ საზოგადოებაში და საუდის არაბეთის ადამიანის უფლებათა კომისიაში. კომიტეტი მიუთითებს ავტორის მტკიცებაზეც, რომ, მის შემთხვევაში, ეს საშუალებები არ იყო ხელმისაწვდომი და არ იქნებოდა ეფექტური. კომიტეტი აღნიშნავს, რომ ავტორის ოჯახმა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საუდის არაბეთის ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას ამ საქმის შესახებ შეატყობინა, თუმცა უშედეგოდ. კომიტეტი ავტორის მიერ წარდგენილ ინფორმაციას მოიხმობს, რომლის მიხედვითაც გამოძიების გენერალური დირექტორატი შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტროლის ქვეშაა, ხოლო საუდის არაბეთის ადამიანის უფლებათა კომისია და ადამიანის უფლებათა ეროვნული საზოგადოება არ არიან საკმარისად დამოუკიდებელი და უფლებამოსილი, რომ მსგავსი საქმეები გადაჭრან და ავტორს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სამართლებრივი დაცვა შესთავაზონ. კომიტეტი ითვალისწინებს ავტორის განცხადებას, რომ სახელმწიფო პროკურატურის ოფისი ვერ ჩაითვლება სამართლებრივი დაცვის დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ ან რელევანტურ საშუალებად, რამდენადაც ის ავტორის წინააღმდეგ საქმეში მისი სიკვდილით დასჯას ითხოვდა. მეტიც, ეს ის ოფისია, რომლის წინააღმდეგაც ავტორმა ძალადობის მიზეზით სარჩელი შეიტანა. ავტორი ამბობს, რომ სახელმწიფო მხარის მტკიცება, თითქოს „სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებები ხელმისაწვდომია“ მომჩივნის ოჯახის წევრების ჩვენებებს ეწინააღმდეგება, რომელთა მიხედვითაც ავტორი 24 საათიან სამართლო კამერაშია, მას გამუდმებით აყენებენ შეურაცხყოფას და არაადამიანურად ეპყრობიან. დამატებით, კომიტეტი აღნიშნავს, რომ სახელმწიფო მხარემ არ წარმოადგინა მტკიცებულებები სამართლებრივი დაცვის საშუალებების ხელმისაწვდომობისა და მათი ეფექტურობის შესახებ. ამის გათვალისწინებით, კომიტეტი ასკვნის, რომ ავტორისთვის მიუწვდომელია სახელმწიფოს მიერ მოხსენიებული სამართლებრივი დაცვის საშუალებები და შესაბამისად, შეტყობინება დასაშვებია ფაკულტატური ოქმის მე-2 მუხლის (d) ქვეპუნქტის შესაბამისად.

¹⁵ კომიტეტის რეგლამენტის 69-ე წესი (CRPD/C/1/Rev.1).

10.5 კომიტეტი მიუთითებს სახელმწიფო მხარის განცხადებაზე, რომ საჩივარი არ არის გამყარებული მტკიცებულებებით და შესაბამისად, დასაბუთების არარსებობის გამო, დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს. აქვე, კომიტეტი მიუთითებს ავტორის მტკიცებაზე, რომ წამების შემდეგ სახელმწიფომ მას აუცილებელი სამედიცინო დახმარება არ შესთავაზა და მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის პროცედურები პროცედურული მისადაგების გარეშე წარმართა, რითაც ავტორის კონვენციით გაწერილი უფლებები დაარღვია, კერძოდ, მართლმსაჯულებაზე ეფექტური ხელმისაწვდომობის უფლების სხვებთან თანაბარ პირობებში განხორციელების შესაძლებლობა არ მისცა. კომიტეტი მიიჩნევს, რომ შეტყობინების დასაშვებობის კუთხით, ავტორმა საკუთარი საჩივარი საკმარისად დაასაბუთა კონვენციის მე-13 (1), მე-15, მე-16 და 25-ე მუხლების შესაბამისად, როგორც ცალ-ცალკე, აგრეთვე, კონვენციის მე-4 მუხლთან ერთად.

10.6 შეტყობინების დასაშვებობის სხვა დაბრკოლებები იდენტიფიცირებული არ ყოფილა. ამიტომ, კომიტეტი შეტყობინებას დასაშვებად აცხადებს და გადადის მისი არსებითი მხარეების განხილვაზე.

C. კომიტეტის მოსაზრებები არსებითი მხარეების შესახებ

11.1 მოცემული შეტყობინება კომიტეტმა ყველა მის ხელთ არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით განიხილა, ფაკულტატური ოქმის მე-5 მუხლისა და მისი პროცედურული რეგლამენტის 73 (1) წესის შესაბამისად. ვინაიდან შეტყობინების არსებითი მხარეების შესახებ სახელმწიფოს საკუთარი დაკვირვებები არ წარმოუდგენია, ავტორის მტკიცებულებებს სათანადო წონა უნდა მიენიჭოს, მით უფრო, რომ ისინი დასაბუთებულია¹⁶.

11.2 კომიტეტი პაქტის მე-15 მუხლის მიხედვით გაკეთებულ სარჩელზე მიუთითებს და აღნიშნავს, რომ დაკავების პირველივე დღიდან ავტორზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა ხორციელდებოდა პოლიციელებისა და სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლების მიერ. ზეწოლის მიზანი იყო ავტორის იძულება, ეღიარებინა დანაშაული. წამების აქტებმა ავტორის მარჯვენა ყურში სმენის სრული დაქვეითება გამოიწვია. კომიტეტს მოჰყავს კონვენციის მე-15 (1) და (2) მუხლები, რომელთა თანახმადაც წამებას, სასტიკ, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან დასჯას არავინ უნდა დაექვემდებაროს. მონაწილე სახელმწიფოებმა ყველა ეფექტური საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, სასამართლო ან სხვა ზომები უნდა მიიღონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების წამების, სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის თავიდან ასაცილებლად. კომიტეტი მიუთითებს იმაზეც, რომ მე-15 მუხლის საპირისპირო არასათანადო მოპყრობის შესახებ საჩივრის შეტანის შემდეგ, სახელმწიფო მხარემ საჩივარი დაუყოვნებლივ და მიუკერძოებლად უნდა გამოიძიოს¹⁷. კომიტეტი აღნიშნავს, რომ ავტორის წამების აშკარა ნიშნების და ოჯახის წევრებისა და მომჩივნის წარმომადგენლების გაკეთებული განცხადებების მიუხედავად, სახელმწიფო მხარეს არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რომ მან ბრალდება ეფექტურად გამოიძია. კომიტეტი აღნიშნავს, რომ სახელმწიფომ წარმოდგენილი ბრალდებები საერთოდ არ უარყო. ამ ვითარების გათვალისწინებით, კომიტეტი აცხადებს, რომ ავტორის ბრალდებებს სათანადო წონა უნდა მიენიჭოს და ასკვნის, რომ ფაქტები კონვენციის მე-15 მუხლით გაწერილი უფლებების დარღვევაზე მეტყველებენ.

11.3 ანალოგიურად, კომიტეტი ითვალისწინებს ავტორის ბრალდებას კონვენციის მე-16 მუხლთან დაკავშირებითაც, რომლის თანახმად, სახელმწიფო

¹⁶ იხ. X ტანზანიის გაერთიანებული რესპუბლიკის წინააღმდეგ, პუნქტი 8.1.

¹⁷ იხ. ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი No. 20 (1992) წამების ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვის შესახებ, პუნქტი 14.

მხარეებმა ყველა შესაბამისი საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, სოციალური, საგანმანათლებლო და სხვა ზომა უნდა მიიღონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩაგვრის ყველა ფორმისგან, ძალადობისგან და შეურაცხყოფისგან დასაცავად როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, მის ფარგლებს გარეთ. კომიტეტი აღნიშნავს, რომ სახელმწიფო მხარემ არ გააპროტესტა ინფორმაცია ავტორის სამართლო საკანში ყოფნის პირობებთან, ძალადობასთან, წამებასთან და შეურაცხყოფასთან დაკავშირებით. კომიტეტი აცხადებს, რომ თავისუფლებადკვეთილი პირები არ შეიძლება სხვა ტიპის შემზღუდველი ღონისძიებების მსხვერპლები იყვნენ, გარდა თავისუფლების აღკვეთისა. მათ უნდა მოექცნენ, *inter alia*, პატიმართა მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესების (ნელსონ მანდელას წესები) შესაბამისად¹⁸. კომიტეტი მიიჩნევს, რომ პატიმრობაში ავტორის მოპყრობა არღვევს მის უფლებას, მოექცნენ ჰუმანურად და ადამიანის ღირსების პატივისცემით. ეს კი ძალადობასა და შეურაცხყოფას უტოლდება, რაც კონვენციის მე-16 მუხლის დარღვევაა.

11.4 კომიტეტი აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-13 (1) მუხლის შესაბამისად, ავტორის ბრალდებები: (ა) მას აწამებდნენ და დანაშაულის აღიარებას აიძულებდნენ, ხოლო ეს აღიარებითი ჩვენება სასამართლომ მის გასასამართლებლად გამოიყენა და სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოიტანა (მიუხედავად იმისა, რომ ავტორის ოჯახის წევრები და წარმომადგენლები ითხოვდნენ, რომ წამების შედეგად მოპოვებული აღიარებითი ჩვენება საქმიდან ამოეღოთ) და (ბ) მისთვის ადვოკატის მომსახურება 2016 წლის სექტემბრამდე არ იყო ხელმისაწვდომი, ხოლო მას შემდეგ, რაც ერ-რიადის სისხლის სამართლის სპეციალიზებულ სასამართლოში ადვოკატი დაენიშნა, მასთან კომუნიკაციის საშუალება არ ჰქონია. კომიტეტი აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-13 (1) მუხლის თანახმად, სახელმწიფოებმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მართლმსაჯულების ეფექტური ხელმისაწვდომობა უნდა უზრუნველყონ სხვებთან თანაბარ პირობებში, მათ შორის, პროცედურული და ასაკის შესაბამისი მისადაგების უზრუნველყოფის გზით, რათა შშმ პირების, როგორც პირდაპირი და არაპირდაპირი მონაწილეების, ეფექტურ როლს შეუწყონ ხელი. ეს სამართლიანი სასამართლოს უფლების ყველა კომპონენტის პატივისცემას გულისხმობს. აქ საუბარია, მათ შორის, სასამართლო წარმომადგენლობის უფლებაზეც და იმის უფლებაზეც, რომ დანაშაულის აღიარების მიზნით, საგამოძიებო ორგანოებმა ბრალდებულის მიმართ არ უნდა გამოიყენონ არასათანადო პირდაპირი ან ირიბი, ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ზეწოლის ხერხები¹⁹. თუმცა სიკვდილით დასჯასთან დაკავშირებულ საქმეებში აქსიომატურია, რომ ბრალდებულს საქმის წარმოების ყველა ეტაპზე ადვოკატი უნდა წარმოადგენდეს²⁰ და წამების შედეგად მიღებული ინფორმაცია ყოველთვის უნდა გამოირიცხოს მტკიცებულებებიდან²¹.

11.5 კონვენციის მე-4 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო მხარე ვალდებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა პირისთვის მართლმსაჯულების ეფექტური ხელმისაწვდომობა უზრუნველყოს, შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე. კომიტეტი კონვენციის მე-5 მუხლში ასახულ უფლებებსა და მოვალეობებზე საუბრობს თანასწორობასა და დისკრიმინაციის დაუშვებლობასთან დაკავშირებით. ეს უფლებები და მოვალეობები განსაკუთრებულ მნიშვნელობას კონვენციის მე-13 მუხლთან

¹⁸ მაგალითად, იხ. ადამიანის უფლებათა კომიტეტი, კროუმი ალჟირის წინააღმდეგ (CCPR/C/112/D/2083/2011), პუნქტი 8.8.

¹⁹ მაგალითად, იხ. ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი No. 32 (2007) სასამართლოებისა და ტრიბუნალების წინაშე თანასწორობისა და სამართლიანი სასამართლოს უფლების შესახებ, პუნქტი 41; ბერი იამაიკის წინააღმდეგ (CCPR/C/50/D/330/1988), პუნქტი 11.7; და სინგარასა შრი ლანკის წინააღმდეგ (CCPR/C/81/D/1033/2001), პუნქტი 7.4.

²⁰ ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი No. 32, პუნქტი 38.

²¹ იქვე, პუნქტი 41.

მიმართებით იძენს, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, პროცედურული მისადაგების უზრუნველყოფას მოითხოვს. პროცედურული მისადაგება გონივრული მისადაგებისგან იმ აზრით განსხვავდება, რომ პროცედურული მისადაგება არაპროპორციულობით არ იზღუდება. ავტორის აზრით, სახელმწიფო მხარე ვალდებულია პროცედურული მისადაგების ყველა ღონისძიებას მიმართოს და სასამართლო პროცესში მისი ეფექტური ჩართულობა უზრუნველყოს, სმენის დაქვეითების გათვალისწინებით. კომიტეტი აღნიშნავს, რომ მის ხელთ არსებული ინფორმაციით, სახელმწიფოს ამ კუთხით არანაირი ზომა არ მიუღია. ამის გათვალისწინებით, კომიტეტი ასკვნის, რომ სახელმწიფო მხარემ კონვენციის მე-13 (1) მუხლით გაწერილი უფლებები დაარღვია, როგორც თავისთავად, აგრეთვე, კონვენციის მე-4 მუხლთან მიმართებით.

11.6 რაც შეეხება ავტორის საჩივარს, რომელიც კონვენციის 25-ე მუხლს მიემართება, კომიტეტი მხედველობაში იღებს ავტორის ბრალდებას, რომ სახელმწიფო მხარემ ავტორს გადაუდებელ ოპერაციაზე უარი უთხრა, მიუხედავად იმისა, რომ (1) ტრავმა თავად სახელმწიფომ მიაყენა, რომელმაც მისი მუდმივი შეზღუდული შესაძლებლობა გამოიწვია და (2) სახელმწიფომ იცოდა, რომ სამედიცინო სერვისებზე უარის თქმა ავტორის სმენის მუდმივ და სრულ დაქვეითებას გამოიწვევდა. კონვენციის 25-ე (b) მუხლის შესაბამისად, სახელმწიფოები ვალდებული არიან შშმ პირები სამედიცინო სერვისებით უზრუნველყონ, მათ შორის, ისეთი სერვისებით, რომლებსაც მათი შეზღუდული შესაძლებლობა საჭიროებს. ასეთებია ჯანმრთელობის პრობლემების ადრეული იდენტიფიკაცია და ინტერვენცია, ან სერვისები, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის გაღრმავების პრევენციისკენაა მიმართული. ამ დებულების კონვენციის მე-14 (2) მუხლთან ერთად განხილვა წარმოაჩენს, რომ სახელმწიფოებს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აქვთ, დაიცვან ადამიანის უფლებები, როდესაც სასჯელადსრულების დაწესებულების თანამშრომლები კონტროლს ან ძალაუფლებას იმ შშმ პირებზე იყენებენ, რომლებსაც თავისუფლება სასამართლოს მიერ აღეკვეთათ. მოცემულ საქმეში ავტორი ოთხი თვის განმავლობაში ელოდებოდა წვდომას ჯანდაცვის სერვისებზე. სახელმწიფო მხარემ, ექიმების რჩევების მიუხედავად, ავტორს არ მისცა გადაუდებელი ოპერაციის გაკეთების უფლება, რაც მას მარჯვენა ყურში სმენის სრული დაკარგვის თავიდან აცილებაში დაეხმარებოდა. შესაბამისად, ავტორმა მარჯვენა ყურში სმენა სრულად დაკარგა. კომიტეტი ასკვნის, რომ სახელმწიფო მხარემ ავტორის უფლებები კონვენციის 25-ე (b) მუხლითაც დაარღვია.

D. დასკვნები და რეკომენდაციები

12. კომიტეტი, რომელიც ფაკულტატური ოქმის მე-5 მუხლის შესაბამისად მოქმედებს, მიიჩნევს, რომ სახელმწიფო მხარემ ვერ შეასრულა კონვენციის მე-13 მუხლის პირველი ნაწილით დაკისრებული ვალდებულებები ცალკე და კონვენციის მე-4, მე-15, მე-16 და 25-ე მუხლებთან ერთად. ამიტომ, კომიტეტი სახელმწიფო მხარეს შემდეგი რეკომენდაციებით მიმართავს:

- (a) ავტორთან დაკავშირებით, მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია:
 - (i) ავტორს მიანიჭოს სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებები, მათ შორის, უზრუნველყოს წამების ბრალდების მიუკერძოებელი, ეფექტური და საფუძვლიანი გამოძიება, დაიწყოს პასუხისმგებელი პირების სამართლებრივი დევნა, მისცეს ავტორსა და მის ოჯახს ადეკვატური ფულადი კომპენსაცია მარჯვენა ყურში სმენის დაკარგვისთვის, რაც აუცილებელი სამედიცინო მომსახურების მიმართ წვდომაზე უარის თქმამ გამოიწვია;
 - (ii) კონვენციით გათვალისწინებული გარანტიების შესაბამისად, გადახედოს ავტორის ნასამართლობას, მათ შორის, საქმიდან ამოიღოს

წამების შედეგად მიღებული მტკიცებულება, მუდმივად შეაჩეროს სამართლო პატიმრობა, უზრუნველყოს მის წარმომადგენელთან და საჭირო ჯანდაცვის სერვისებთან სრული წვდომა და სამართალწარმოებაში ავტორის ეფექტურად ჩართვისთვის პროცედურული მისადაგების ღონისძიებები გაატაროს.

(b) ზოგადად, სახელმწიფო მხარე ვალდებულია მიიღოს ზომები, რომ მსგავსი დარღვევები მომავალში აღარ განმეორდეს. კომიტეტი სახელმწიფოს ავალდებულებს:

(i) მართლმსაჯულებისა და სასჯელაღსრულების სისტემებში მკაფიოდ აკრძალოს წამების ნებისმიერი აქტი;

(ii) წამების ეფექტური და დამოუკიდებელი შეტყობინებისა და მასთან დაკავშირებული ბრალდებების გამოძიების მექანიზმები ჩამოაყალიბოს;

(iii) სასჯელაღსრულების სისტემაში სამედიცინო სერვისებზე დროული ხელმისაწვდომობა უზრუნველყოს, კონვენციის 25-ე მუხლის შესაბამისად;

(iv) სიკვდილით დასჯის გაუქმებაზე იზრუნოს;

(v) კონვენციისა და მისი ფაკულტატური ოქმის შესახებ მოსამართლეები, სასამართლოს თანამშრომლები და სასჯელაღსრულების დაწესებულების პერსონალი საკმარისი და რეგულარული ტრენინგებით უზრუნველყოს.

13. ფაკულტატური ოქმის მე-5 მუხლისა და კომიტეტის რეგლამენტის 75-ე წესის შესაბამისად, სახელმწიფო მხარემ კომიტეტს ექვსი თვის ვადაში უნდა წარუდგინოს წერილობითი პასუხი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას წინამდებარე გადაწყვეტილებისა და კომიტეტის რეკომენდაციების გათვალისწინებით განხორციელებული ქმედებების შესახებ.



ევროკავშირი
საქართველოსთვის

Project funded by the European Union

ეს მასალა ნათარგმნია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია "კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის" და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.